რედაქცია

ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

—

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ზანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და ელ. ბაბალოევთან, ახალ-სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში — მ. დავ. ლამბაშიძესთან, გორს — ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	„
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
ერთის თვისა	1 —	„

აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი

რედაქტორი ს. მესხი.

საქართველო

ომიანობის მოლოდინი

ჭიდაობა თუ გინახავთ, შეამჩნევდით, რომ, სანამ მოჭიდავენი ერთმანერთს დაეტაკებიან და ხელს ჩაავლებენ, მხოლოთ მანამ ქრთიან და მხოლოდ მანამ გული უფანცქალებთ. რაკი ერთხელ ეცნენ ერთმანეთს, მერე [თითქო დაწყნარდნენო და ბრძოლა თავის წესზე, თავის რიგზე მიდის.

ესეთია სწორეთ ამჟამად ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების მდგომარეობაც:

მოწინაალმდეგენი ერთმანეთის პირდა-პირ დგანან დაიარაღებულნი, დამზადებულნი; შუა კაცები შეკრებილან სტამბოლს და სცდილობენ, რომ როგორმე ამ ევროპის ხალხთ შუა „ჭიდაობა“ და შეტაკება არ მოხდეს; სანამ ესენი რასმე გადასწყვეტდნენ, მოწინაალმდეგეთ გული უკრთისთ, შიშობენ, ფაცურობენ; ხალხს გული ვერ დაუმშვიდებია, მოსვენებით დღე ვერ გაუტარებია და ღამე ვერ დაუძინია.

და ან როგორ შეიძლება მოსვენება და გულ-დამშვიდებით ყოფნა იმ დროს, როცა დღე-დღეზე, ყოველ წამს მტრისა და მოყვრისაგან თავსდასხმას და ქვეყნის აოხრებას მოელი, როცა იმედი არა გაქვს, რომ ხვალ შენი სახლი ისევ მთელი და ხელუხლებელი იქნება და შენი ნამუშევრის მოყვანა გეღირსება!

ომზე უარესია ხანდისხან ამისთანა მდგომარეობა.

მაგრამ, იმედია, რომ ამ დღეებში საქმე როგორც იქნება გადაწყდება: ან ომს ვეღირსებით ან მშვიდობიანობას.

და ამას ჩვენ ვამბობთ იმიტომ, რომ კონსტანტინოპოლის კონფერენციის საქმე, როგორც ჩვენში იტყვიან, მიწურულშია ამჟამად.

დღემდი ოსმალოებმა თითქმის ყველა წინადადებაზე, რომელიც იმათ წარუდგინეს ევროპის ექვსი უმთავრესი სახელმწიფოების (რუსეთის, გერმანიის, ავსტრო-ვენგრიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის) წარმომადგენლებმა, უარი განაცხადეს. ისინი არ ეთანხმებიან ევროპას არც სერბიისა და ჩერნოგორიისათვის ცოტაოდენ მიწის დათმობას, არც ბოლგარიაში უცხო ქვეყნის ჯარების დროებით ჩაყენებას, რომ ყური უგდონ — თუ როგორ აასრულებენ ისინი იმ რეფორმებს, რომელსაც ამ ხალხებს მიანიჭებენ, და სხვ. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უკანასკნელი ვადა გასულ ორშაბათისათვის დაუნიშნეს ოსმალოს მინისტრებს და თუ ამ დღეს არ მიუღიათ ისეთი პასუხი, როგორიც უნდოდათ, მაშინ გადაწყვეტილი აქვსთ, რომ ყველანი გამოვიდნენ სტამბოლიდამ და ამ ნაირად კონფერენცია თავის მოვალეობას გაათავებს.

მაგრამ კონფერენციას გარდა, სხვა ისეთი საშუალებაც მონახება, რომლის შემწეობითაც შეიძლება კიდევ ომიანობის თავიდამ აცილება; ამ უკანასკნელ დროს გაზეთებში იწერებიან, სხვათა შორის, რომ ოსმალოს მმართებლობას განზრახვა აქვსო, რომ მარტო რუსეთთან იქონიოს მოლაპარაკებაო, რადგან ამ აღმოსავლეთის საქმეში ყველა-

ფელტონი

სოფლური სცენა

(დუქნის წინ მოგროვილია ხალხი და ყურს უგდებს ჩაფარს, რომელიც უცხადებს, რომ ვისაც სურს ურემი გაიყვანოს საომარი ბარგის გადასატანად; თითო ურემზე თვეში ექვსი თუმანი იქნება და საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო და სხვა.)

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი. — მართლა შენ გეცოდინება, კაცო, რა ამბავია ომიანობისა?

ჩ ა ფ ა რ ი. — რა ამბავია და ის ამბავია, რომ დიდი ჩხუბი ექნებათ ჩვენ ხემწიფესთან. ჩვენი ხემწიფე მარტოა და ოსმალოს სამი სხვა სახემწიფო ეხმარება. მაგრამ ოსმალს ასე შემოუთვლია, რომ ან შენ უნდა იყვე, ან მეო; თუ მე სიონში ვერ შემოვედი და რაღა ბიჭი ვიქნებიო. ამაზე ჩვენ ხემწიფეს შეუთვლია: ამდენ ხანს რასაც მითვლიდი, მე ხუმრობა მეგონაო და ეხლა რა კი შენი სიტყვა მომივიდა, ეხლა მე ვიცი და შენაო: თუ შენ სიონში შემოხვალ და მე კაცი არ ვიქნებიო.

პ ი რ ვ ე ლ ი. — (თავის ქნევით) ჰეი, პა, პა, პა, პა! თუ მართლა სიონში შემოვიდა, ხო ღმერთი გაგვიწყრება და აქაც მოვა; მაშინ რაღა გვეშველება, კაცო?!

მ ე ო რ ე. — ნეტაი თქვას კაცმა, აჯობებენ მითომ ჩვენ ხემწიფეს?

მ ე ს ა მ ე. — ჩვენ ხემწიფეს მიტომ ვერ აჯობებენ, რომ ქრისტიანია, ღმერთი წყალობს; და იმათ თუ დღეში ორჯერ არ ილოცეს და არ იბანავეს, ხო სუ აყროლდებიან და სუნით დახოცამენ ერთმანეთს.

მ ე ო თ ხ ე. — რუსის ჯარის ვილა უნდა აჯობოს! თათრები ხო არაყ არა სმენ და ისე ჩემი მტერი, როგორც ისინი გაიყინებიან ამ ზამთარში!

პ ი რ ვ ე ლ ი. — კაცო, რაც იქ ჩვენი ურემი წავა, მარტო ის ეყოფა ოსმალოს ჯარს და ეხლა სხვები კიდევ რამთენი ეყოლება ჩვენ ხემწიფეს, იმას ვინ არიცხავს!

ჩ ა ფ ა რ ი. — ზანა იმათ კი ნაკლები ჯარები ეყოლებათ რაა! რატო სამი ქიზიყის ოდენაც არ ეყოლება სალდათები.

მ ე ხ უ თ ე. — ნეტაი ამ ლესნიჩიდამ კი დაგვიხსნან და ტყეში შეგვიშვან და ვინ ოხერი ცოლ-შვილიანათ არ წავა და არ უშველის, თუ კი შემოგვითვლიან.

მ ე ო რ ე. — ნეტაი თქვას ვინმემ, რა ნაირათ ექნებათ ჩხუბი? არ ეტყვიან ერთმანერთს როდის, ან სად უნდა შეიჩხუბნონ?

ჩ ა ფ ა რ ი. — ჩვენ ხემწიფეს ყოველ მხრიდამ გზას უკრამენ, ჯარებს მალამენ და ამან კი არ იცის — სით და სით არიან ჯარები და მარტო ერთი მხრიდამ მიდის ალალ-ბედზედაო.

მ ე ო თ ხ ე. — რამდენი ყმაწვილი კაცები დაიხოცება; უყურეთ იმათ დედების წივილ-კივილს და თმების წეწა-გლეჯას!

მ ე ო რ ე. — კაცო, რა უნდათ, დადგნენ, ერთმანერთს ძმობა უთხრან, არა ჯობია, რას ჩხუბობენ?

ჩ ა ფ ა რ ი. — შენ რო ერთი ურიგო ქართული გითხრას კაცმა, ხანჯლით არ დაზოგავ და ისინი რამდენი ხანია გადამტერებულები არიან; ერთმანეთს ხმას არა სცემენ, თუ წიგნი არ მისწერეს. ეხლა რო მორიგება უნდოდათ, მოციქულებს გზავნიდნენ ერთმანერთთან. ზანა თითონ კი ვერ მოილაპარაკებენ, მაგრამ დაუბრებულები არიან.

მ ე ო თ ხ ე. — ეგრე ჯობია, ეგრე, გაიწმინდება ქვეყანა, ვინც ავი და ბოროტი ადამიანებია, სულ დახოცამენ და მოისვენებს კაცი. კაცს შიშით ფეხი ვერ გადაუდგამ უიარაღოთ და რა გამოვიდა. ეხლა კიდევ რაა, წინაზედ ჟარღაჩში ვერ წავიდოდით ხოლმე, მაგრამ ეხლა ლეკებშიაც თავისუფლათ დავდივართ. ამ ომის შემდეგ, მგონი, სუ არაფრის შიში აღარ იქნება.

ჩ ა ფ ა რ ი — ეგ არი, შენ თუ თქვი, ნამდვილია რაღა! მოიცა, რომ მემრე უფრო არ გამრავლდეს ავაზაკობა დაა!

პ ი რ ვ ე ლ ი — იიი, შენ სულ გულ გვიხეთქამ, კაცო! მადლობა ღმერთს, რაც იქნება — იქნება, ნეტა ეხლა კი გადავერჩეთ მშვიდობით დაა!

(ჩაფარი ადგება და წავა; ხალხიც დაიფანტება.)

თეოფ. კანდელაკი

ზე უფრო მომეტებული ინტერესი რუსეთსა აქვსო.

ერთის სიტყვით, როგორც ზევით ვსთქვით, გამოუკვლეველი და ჭაპანწყვეტის მდგომარეობა და სამძიმო მოლოდინი ომიანობისა ამ დღეებში, ავათ იქნება თუ კარგათ, უნდა გათავდეს.

თუ იქნება ომი, უეჭველია, რომ ჩვენი ქვეყანა ომიანობის ასპარეზად და ბრძოლის ველად შეიქნება. ეს ყველამ იცის, და ამის გამოც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხი უფრო აღელვებულია და მოუსვენარი. ამ შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა მძიმე იქნება, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე და ჩასაფიქრებელი იქნება ჩვენი მოვალეობა. ჯერ ამ მოვალეობაზე ლაპარაკი ადრეა, სანამ ომი არ გამოცხადებულა. მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი მხნეობით გამოჩენილი თავად-აზნაურობა და საზოგადოთ ხალხი ახლა მარტო თავის მხნეობით არ გამოიჩენს თავს....

ს. მ.

პარასკევს, 7 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულის გამო, „დროება“ ვერ გამოვა

დღიური

*** ახალწლის დღესასწაულებმა მშვიდობიანათ ჩაიარა ჩვენს ქალაქში. მთვრალი, დალურჯებულ-დასისხლიანებული ცხვირ-პირი და გვერდები, მუშტი-კრივი, რასაკვირველია, საკმაოდ იყო, მაგრამ ამას ხო ჩვენში მშვიდობიანობა ჰქვიან. საქმე იმაშია, რომ ამ დღეების განმავალობაში არცერთი მსხვილი ქურდობა და კაცის-კვლა არ მომხდარა...

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობის ზალაში, უფ. თფილისის ღუბერნატორის წინადადებით, მოწოდებულნი იყვნენ ვაჭრები, მესჩანები და ხელოსნები თავიანთ წოდების უფროსების ამოსარჩევად. დანიშნულ დროზე ყველა წარმომადგენელნი ქალაქისა შეიკრიბნენ გამგეობის ზალაში და მოახდინეს კენჭის ყრა, რომლითაც ამოარჩიეს: ვაჭრების წოდების უფროსად უფ.
მესჩანებისა—უფ.   და ხელოსნებისა უფ. ა. ი. ქაპანაძე.

ამოარჩიეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ზოგიერთებს უკმაყოფილება გამოუცხადებიათ კენჭის-ყრის წესზე და უფ. ღუბერნატორთან პროტესტი უნდა შეიტანონო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში, ფოთი-თფილისის რკინის გზის ზომის სტანციასთან დაკარგულა ფოჩტის ვაგონში მდებარე ყუთი, რომელშიაც, სხვათა შორის, ფულებიც ყოფილა. ყუთი, როგორც ამბობენ, ხუთ ფუთამდინ იყოვო. ამ საგნის თაობაზე, ამბობენ, კონდუქტორი უფ. ზახაროვი დაუჭირავთ.

*** გუშინწინ, 3-ს იანვარს, თფილისის საზაფხულო თეატრში იყო ქართული წარმოდგენა აქაურ საქალებო გიმნაზიის ღარიბ შაგირდების სასარგებლოდ. სცენის მოყვარეთა, როგორც გამოცხადებული იყო, ზ. ანტონოვის ოთხ მოქმედებიანი დრამმა „ქ ო რ - ო ღ ლ ი“ წარმოადგინეს.

ჩვენ არ ვეთანხმებით იმ პირთ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სცენის მოყვარეთა თამაშს ყოველთვის უფრო რბილად, უფრო ნაზათ უნდა ექცეოდეს კრიტიკა და საზოგადოებაო, ვინემ ნამდვილ აქტიორებსა და აქტრიცებსაო; არ ვეთანხმებით ამიტომ რომ ვინც სცენაზე, საქვეყნოთ გამოდის, ღირსიც უნდა იყოს გამოსვლისა და თავის თავის იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ თავის როლს როგორც რიგია ისე შეასრულებს; თუ არა, ნუ გამოდის.

ამისათვის „ქორ-ოღლში“ მოთამაშენი ნუ დაგვემდურებიან, თუ დაურიდებლივ ვაცხადებთ, რომ ამ შემთხვევაში იმათი თამაში ჩვენ ძალიან სუსტად და უხეიროთ გვეჩვენა.

ყველა მოთამაშეებზე ცალ-ცალკე ლაპარაკს არ დავიწყებთ; თავიანთი როლები არ გააფუჭეს მხოლოთ ქლ. ყიფიანისამ (ფატმანი), ა. ყიფიანმა (ჯაფარ-ფაშა), უფ. ი. ნათაძემ (ქორ-ოღლი) და შახ-ტახტინსკიმ (მოლლა). დანარჩენებზე კი კარგს ვერას ვიტყვით. მ. ყიფიანისას ნამდვილი ნიჭი ეტყობა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ, როგორც ამბობენ, ის თითქმის პირველად გამოდის სცენაზე და ამის გამო გამოუცდელობა აბრკოლებს. ყველას ეტყობოდა აგრეთვე მოუმზადებლობა და ურეჟისოროობა.

ესვე „ქორ-ოღლი“ რომ კარგათ მომზადების შემდეგ ითამაშონ, კარგის რეჟისორის ხელმძღვანელობით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი-ორად უკეთ წავა და ნამდვილ სიამოვნებას მოუტანენ მაყურებელ საზოგადოებას, რადგან თვითონ დრამმა ჩინებულია და სცენაზე ძალიან კარგათ გამოვა. ორშაბათს კი, იქნება ამავე მოთამაშეთა წყალობით, ხალხი ისეთს დროს იცინოდა და ხარხარობდა, საცა დრამატიული ალაგები იყო და ნერვებიან მაყურებლებმა ტირილიც იციან ხოლმე.

*** „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ ერთი ჩვენი სამეურნეო გაზეთთაგანი, სახელდობრ „გუთნის-დედა“, ამ წლიდამ სპობს თავის არსებობასაო, რადგან სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტაო, რომ სუბსიდია (900 მან.), რომელიც ამ გაზეთის რედაქტორს უფ. ანტონ ფურცელაძეს ეძლეოდა ყოველ წელიდს, მოესპოსო.

*** ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად მაგიკოსი და ფოკუსნიკი უფ. კაზლოვი, რომელიც ცდილობს, რომ სადმე ზალა იპოვნოს და რამდენიმე წარმოდგენა გამართოს. უფ. კაზლოვმა გვიჩვენა ჩვენ თავის ძველი აფიშები, რომლიდამაც სჩანს, რომ იმას, სხვათა შორის, ბერლინში, ვენაში, დრეზდენში, საფრანგეთში, ბორჯომს და სხვაგან გაუმართავს წარმოდგენა და ყოველგან აღტაცებაში მოუყვანია მაყურებლები თავის თვალთ-მაქცურ ფოკუსებითა...

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი. (ერთი თვალის-გადავლება სიღნაღზედ — ამისი გარეგანი სახე — შინაგანი ცვლილება — შიში ომიანობის გამო — ბოდბის-ხევის საქალებო შკოლა და ბანკი — სიღნაღიდამ ს. პრასიანამდი და უკან.)

დღეს სიღნაღში ვიყავი. ვერაფერ თვალზედ მეჩვენა რაღაც აქაურობა! წვიმიანი დღეა. დიდი, ძალიანი დიდი ლაფები. ამ ლაფებში ამოგანგლული და გათხუპნული ხალხის მოძრაობა, ფაცა-ფუცი, აღებ-მიცემა.

ყველაზედ უწინ ჩემი მხედველობა მიიქციეს სოფლის დედაკაცებმა, რომლებიც ერთ ლაფიან ვიწრო მოედანზედ სიმრგვლივ ჩამომწკრიებულან, ან ჯგუფ-ჯგუფად შეყრილან და ვაჭრობენ; ზოგი რასა ჰყიდის, ზოგი რასა; ამათ თქვენ უნახავთ სხვა და სხვა სორტის გრძელ შოთებს, რძეს, მაწონს, კარაქს, ყველს, შინაურ ფრინველებს, წინდებს, თავსაკრავებს, პაჭიჭებს, ცოცხებს, ჩურჩხელებს, სხვა და სხვა ხეხილებს, გროწეულის ტყავებს და სხვა სოფლის ნაწარმოებს.

საკვირველია, რა გინდ ცუდი დარები იყვეს, ესენი სიღნაღს ტარებას არ დაიზარებენ 5 6 ვერსიდამ! ან კი როგორ დაიზარებენ: მთელ სიღნაღს ამათი მოლოდინი აქვს; თუ ესენი არ მოვლენ თავიანთ ნაწარმოებით, სიღნაღელები მშიერები უნდა იყვნენ, რადგანაც აქ პურებს არ აცხობენ ხოლმე.

დედაკაცების წრე რო გადავათვალიერე და იქით მივიხედე, თვალწინ წარმომიდგა თუ შეშით, კოკებით, ტყავებით და სხ. და თუ ცარიელი ვირების ჯოგი. ამათი ყროყინი „ყარამანსაც“ შეზარამდა! მგონი, არც ბაღდადს უნდა იყვეს ამოდენა ვირები!

რის ვაი-ვაგლახით გავძვერ ამ დედაკაცებისა და ვირების ჯოგებში; მოვშორდი ამ მოედანს და ავედი ზევით, მეორე მოედანზედ. აქ პატა გული გამინათლდა: არც ლაფებია იგრე რიგათ და ხალვათობაც გვარიანი. ეს მოედანი შუა ქალაქია და, როგორც ბირჟა, პირველი ადგილიც არის მთელი სიღნაღისა. თუ აქ გაივლ-გამოივლის ადამიანი, ან ჩამოჯდება განგებ გაკეთებულ ხუთ-ექვს სკამეიკებზედ, თორემ სულ უნდა გაჭენებულ ცხენივით ირბინოს აღმა-დაღმა, უკეთუ სადმე ჭერს ქვეშ თავს არ შეიფარებს. მეც აქ ცარიელ სკამზედ დავჯექი. ჩემს შორი-ახლოს იჯდა ორი ვაჭარი კაცი.

— ეჰ! რა მომივიდა, კაცო, რო ჩემი არაყი ვერ გავყიდე! შესჩიოდა ერთი მეორეს.

— მერე რა კარგ ფასში იყიდებოდაა.

— ჰო, დაა! ამბობენ ამ ომიანობაზედ ერთი-ორად გაძვირდებაო და მეც მისთვის ვერ გავიმეტე, თორემ ამდენი ხანი როგორ დავანარჩუნებდი.

— შენგან არ მიკვირს, კაცო! ომიანობას სადღაც რუსეთისკენ ამბობენ და აქ არაყს რა დააძვირებდა! განა იქითკენ კი არა ხდიან არაყსა? აქ ვინ იყიდის? თუნდა იყიდონ, — იქ მიტანა ფასად დაუჯდებათ და რაღა ხეირი უნდა ნახონ!

— შენი კარგა ყოფნით, ნეტავ ეხლა კი გავყიდო და მაინც მოგვიმატეს გადასახადი გამოხდისთვის და აღარც გამოვხდი და აღარც!

— მოგვიმატეს, მაგრამ... შარშან ორმოც თუმნადი შეიტანეს ხაზინაში მარტო ჩვენი სოფლიდამ და წელს კი ორი თუმანიც არ შევა. რო არავინ ხდის, რა უნდა შევიდეს!..

მე წამოვდექი და აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე და ვნახე, რომ ძირს თურმე „ქარვასლა“ ჰყოფილა (ფურგუნების სადგომი ალაგი) და ამ ერთად-ერთ თავშესაყარ ადგილზედ ცხენების გამო მუხლებამდი ატალახებული ნეხვი ყრია და ამისი არომატული სურნელებით სტკბებიან აქ მოსეირნენი. არ ვიცი, ყნოსვა გაუხსნელი, თუ შეჩვეული აქვსთ აქაურებს, თორემ როგორ ვერა გრძნობენ ეგეთ სიმყრალეს! მე კი, ამის დანახვაზედ, ცხვირზედ ხელი მოვიჭირე და იქითკენ გავექანე. აქეთკენაც საცურავი ლაფები.

ერთი სიტყვით, გარეგანი შეხედულობით დღეს სიღნაღი რაღაც ნაირი მეჩვენა. მაგრამ ხანდისხან თურმე გარეგანი ფეთხუმობა შინაგან სიწმინდეს შეიცავსო!

შინაგანი ცვლილება სიღნაღში: ძველი უეზდის უფროსი გარდაიყვანეს და ახალი გარდმოიყვანეს; ძველი მომრიგებელი მოსამართლე გარდაიყვანეს და ახალი გარდმოიყვანეს. საქმის მწარმოებელიც შესცვალეს და ასლი საუპრავლენიო კაცი მოუძებნიათ....

დღეს ახალ უფროსთან ძალიან ბლომა მომჩივრები იყვნენ. „ნავხოთო, ეს ახალ-ახალი ზაკონსა და კანონს მოიტანდაო!“ და მრუდ-მართალი სულ იმასთან მიდიოდა!

ბრძოლის საქმე, როგორც ყველგან, აქაც აფრთხობს ზოგიერთებს. ჯარები როგორც აქედამ, ისე ლაგოდახ — თუქურმიშიდამაც გაიკრიფნენ.

— ე სალდათები მიჰყამთ, მაგრამ ჩვენრო ლეკებიგრე ახლოს გვყავნან, რაღა გვეშველება, ან რა პასუხს გვაძლევენო? იძახიან ხოლმე ზოგიერთები. „იქითყენ რო ჩხუბი ასტყდეს, აქეთყენ ესენი მზათ არიან ყველაფრით, მხოლოდ დროს უყურებენ, დაიწყობა თუ არა ომი, მთელ კახეთს მოედებიან და აგვიკლებენ და ვინ არის პასუხის მგებელიო?“ და სხ.

ამბობენ, ხაზინაც იქით, ციხეში უნდა გადაიტანონო, რადგანაც აქ, საცა ეხლა არის, ეშინიანთ მტრებისაგანაო.

როგორ შეშინებულხართ, ქიზიყელებო, თითქო პირველი მეომარი ხალხი თქვენ იყავით?

სოფელს ბოდბის - ხევში იქაურ დეკანოზის ქალს საქალებო შკოლა გაუხსნია თავის სახლებში საკუთარის ხარჯით. ჯერ თითონაც უჯამაგიროთ ასწავლისო, მხოლოდ თეეში თითო აბაზს კი ართმევს მოსწავლე ქალებს და ამასაც სასწავლი ნივთების სასყიდლათაო. მოსწავლეები ეყოლება ოცამდე, რომლებისთვისაც თითონ მასწვლებელს თავის ფულით უყიდნია ერთფერი ტანთსაცმელი (ცისფერი კაბები თეთრი ფართუკებით). ასწავლის, სხვათა შორის, თამაშობასაცაო...

თუ ეს ყველა ნამდვილია, რაღა თქმა უნდა, დიდი მადლობის ღირსია მასწავლებელი ეგეთი კეთილი საქმისთვის. ეს, მგონი, პირველი მაგალითია, რომ ჩვენში ვისმეს, მერმე ქალს, თავისი ხარჯით შკოლა გაეხსნას. ღმერთმა ამრავლოს და მრავალი ახალი წელიწადი მოასწროს ამ გვარ პირებს!

ბოდბის-ხევშივე გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის გახსნას აპირებდა ერთი იქაური ყმაწვილი კაცი. თხოვნა კარგა ხანია გაუგზავნია, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი ამბავი ისმის. თუ ნება მისცეს და მართლა გაიხსნა, მაშინ ბოდბის-ხევს ექნება ორი შკოლა (სავაჟო უკვე არსებობს) და ბანკი, რომლებიც ზოგიერთ ქალაქებსაც არ აქვსთ.... ღმერთმა ამ მხრითაც ამრავლოს და მრავალი ახალი წელიწადი გაუთენოს ამ გვარ საქმის მსურველებს....

სირბილაძე

(დასასრული შემდეგ №-ში)

უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონფერენცია

გუშინ დილით ქალაქში მოვიდა შემდეგი დეპეშა კონსტანტინოპოლიდამ:

„სტამბოლი, 14 იანვარს (კვირას). ხვალ (ორშაბათს) უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეიტანენ კონფერენციაში ახალს

პირობებს, რომლითაც ისინი წინანდელ მოთხოვნილებაზე ბევრს უთმობენ. მიტჰად-ფაშა ყველგან აცხადებს, რომ ის არაფერს არ დაუთმობს ევროპის წარმომადგენლებს და ომობის აცილება შეუძლებელიაო. იმედი აღარ არის, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდეს. რუსები სტამბოლიდამ გამოსვლას აპირებენ.“

ამ ნაირად, დღეს, როცა ჩვენი გაზეთი უნდა გამოვიდეს, გადაწყდება: დათანხმდება ოსმალო ევროპის წარმომადგენელთ პირობებზე ან ევროპის წარმომადგენელნი ოსმალოს პირობებზე, თუ არა. თუ არ დათანხმდნენ, თუ ვერ მოთავსდნენ, მაშინ კონფერენციის წევრნი გამოელენ სტამბოლიდამ და ოსმალეთსა და რუსეთს თავიანთ ნებაზე მიუშვებენ. მაგრამ შესაძლებელია, რომ კონფერენციის დაშლის შემდეგაც კიდევ ახალი რამ საშუალება მონახონ, ახალი რამ სახსარი და ღონის-ძიება და ომიანობა თავიდამ აიცილონ.

სერბია

ღენერალი ჩერნიაევი წავიდა სერბიიდამ და იმის ადგილას რუსის ჯარების უფროსად სერბიაში ღენერალი ნიკიტინი დაინიშნა. მაგრამ ამის მისელისათანავე ბელგრადში რუსის ჯარში რაღაც უკმაყოფილება ატყდა და ამათ სურვილი განაცხადეს, რომ ჩვენ აქ სამსახური აღარ გვინდა, რუსეთში უნდა დავბრუნდეთო. ამის გამო სერბიის მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ვისაც კი უცხო ქვეყნელთაგანს თავიანთ სამშობლოში დაბრუნება ჰსურს, გზის ფული მიეცეს და დაბრუნდნენო.

საგაასო

უფ. ნიკოლაძეს *)

უკაცრავად დაგვიანებისათვის. ამდენს ხანს ვიცადე: მეგონა, რომ, სადაც სამი კაცი წამოდგა, იქ მეოთხეც და მეხუთეც წამოყოფდა თავს. მინდოდა ჯერ ყველანი მომესმინა და ისე მეპასუხნა; იქნება ამნაირად ერთი პასუხი ყველასთვის საკმაო ყოფილიყო. მაგრამ ცდამ ტყვილად გამიარა. თურმე სამი კაცის მეტი აღარავინ დარჩენილა ცოცხალი, და ესენიც ისე იქცევიან, რომ პასუხის მიცემა არა, ჯერ კაცი გაკვირვებიდგან ვერ გამოსულხარ. წერილმანში ყველა თანახმაა და ერთი მეორეს სიტყვას იმეორებს. მაგალითებრ, ყველა იმით იწყებს თავის სიტყვას, რომ მაჭახელაძისაგან უკეთესს მსჯელობას მოველოდითო. ამაზედ მე არას ვიტყვი. მხოლოდ ერთს ვიკითხავ: რომელი კაცი ეუბნებოდა თავის გამკიცხველს — „მართალს ამბობთ, მომწონს თქვენი ლაპარაკიო?“ ხომ არცერთი? მაშ გაჩუმდით...

ეხლა საშუალებას შეხედეთ, რომელსაც ჩემი მოწინააღმდეგეები ეგრე აფასებენ. მათ ეუბნები, რომ მათ ესა და ეს არ უვარგათ. ერთი პასუხად გაძლევს: შენ რა იციო, შენ ეს ჭადი გგონიაო. მეორე გეუბნება: შენ ეს ხორბალი ნუ გგონიაო. აი ამგვარი სიტყვებით ამტკიცებენ იგინი, რომ მათი საქმე ვარგა.

აქ თავდება მათი თანხმობა. როცა საქმე ყველასთვის მძიმე კითხვას ეხება, მაშინ ყველა თავის მხარესკენ მიიწევა.

სად უნდა იმუშაოს მამულის შვილმა? ამაზე ბაასიც ატყდა და ჩემი გახსენებაც აღარ არის საჭირო. მაგრამ აი მეორე კითხვა, რომელზედაც ჯეროვანად არავინ შეჩერებულა, მაგრამ გაკვრით ყველამ ჰსთქვა თავისი ჰაზრი:

საქმე უნდა მოსდევდეს ჰაზრსა და სურვილს, თუ არა? ერთი ამბობს: კი; მეორე: არა; მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ იგივე შეგვჩიენლებს „ცარიელი სურვილი გვაქვსო, ცარიელი სურვილი.“ მესამე გვეუბნება: არა—კი (ამას ამტკიცებს აკაკი).

ქიდევ ერთს კითხვას შეეხენ: როგორი შრომააო ჩვენთვის სასარგებლო და გამოსადეგი? ზოგი ამბობს შეერთებულიო. ზოგი კი განცალკევებულს შრომას იცავს; მხოლოდ დამალულ შრომას გვირჩევს, ისე რომ ჩვენს ვაჟბატონებს შეეძლოსთ ყველასთან იკვეხნონ, რომ შრომობენ და საქმით კი არაფერი გააკეთონ; ყველას ეგონოს, რომ იგინი საზოგადო საქმის ერთგულნი არიან, მაგრამ ამაში დამარწმუნელ საბუთს ნურავინ ჰსთხოვილობს, რადგან იგინი დამალულად ამზადებენ კეთილ საქმეს, რომელსაც იგინი არ უჩვენენ არც მტერს და არც მეგობარს.

როცა „დროების“ „ბანაკი“ ამისთანა სურათს წარმოადგენს, მაშინ ზემოდ მოხსენებულ ჰაზრებზე „დროებასთან“ კი არ შეიძლება ბაასი, არამედ ცალ-ცალკე, უფ. ნიკოლაძესთან, უფ. მესხთან, უფ. წერეთელთან. მეც ეგრე ვიზამ შესახებ ამ ჰაზრებისა.

მაგრამ რაც წინეთ მითქვამს „დროებაზე“, ის კი დაურღვეველი ჭრჩება, ის კი ყველას ერთნაირად ეკუთვნის, და მაშასადამე „დროებასაც“. მე მაზედ შევიდგინე ჰაზრი არა რომელიმე ერთი თანამშრომელის მოღვაწეობის გარჩევით. მე მივაქციე ყურადღება ყველა თანამშრომელებს თითოეულად. ყველას დავუნახე ერთი ნაკლულევანება, რომელიც მაშასადამე მთელ პარტიის ნაკლულევანებაა. ვინმე მკითხავს, მაშ რატომ თითოეულზე არ ილაპარაკეო? იმიტომ რომ როცა ათიოდე მაგალითების შორის სრული იგივეობა არსებობს, იმ საგნის მხრით, რომელზედაც სჯა არის, მაშინ საჭირო არ არის, რომ ისინი ყველა ერთიანად ჩამოსთვალოს კაცმა. თუ კი ამ იგივეობის თაობაზე ვისმე ეჭვი ებადება, მე მზად ვარ დავუმტკიცო ეს, მზად ვარ ყველა „დროების“ კაცებზე თითოეულად ვილაპარაკო და ვაჩვენო, რომ მათ ერთი ფერი აცხიათ და ერთი დაღი ასვიათ, ის დაღი, რომელზედაც მე ამას წინედ ვილაპარაკე.

×

ეხლა უფ. ნიკოლაძე მიწევს პასუხის საგებად. ის შემომჩივის, რატომ მარტო ჩემზე გააგრძელე სიტყვაო? იმიტომ რომ იგი ყველაზე მეტს ჰყვიროდა, მეტს ამაყობდა და მეტიჩრობდა, ზოგიერთების თვალში ვითამ მეტი ღირდა.

ყველა ჩემი ნაწერები გქონდა სახეშიო, მკითხავს უფ. ნიკოლაძე, როცა ჩემზე სჯას აპირებდიო? დიახ, ყველა ნაწერები ქართულ ენაზე, რადგან მხოლოდ ამისთანა ნაწერებს აქვს მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებისათვის. მხოლოდ იმიტომაც ვკითხულობდი მე უფ. ნიკოლაძის ნაწერებს, რომ ისინი ქართულზე და ქართველ საზოგადოებისათვის იყენენ დაწერილნი. უცხო ენებზე მისი ნაწერები არ ვიკითხო სხვა მწერლები რამ წაგვართვა, იმისთანა მწერლები, რომელთა რიცხვი ათასობით ჩამოითვლება და რომელთა უფ. ნიკოლაძე ლანჩათაც არ უვარგა?

რაც შეეხება იმას, თუ როგორი იყო უფ. ნიკოლაძის მოქმედება, როგორ ამართლებდა იგი თავის ჰაზრებსა და ფიქრებსა, იმის საჩვენებლად მე მისს კერიასთან არ მივსულვარ და არც იქ შევყოლივარ, სადაც მკითხველს არ შეესვლებოდა. მე მოვიხსენე ის, რაც უფ. ნიკოლაძეს აშკარად გამოუჩენია, რაც მას საქვეყნოდ გამოუცხადებია. თუ ამ შემთხვევაშიც მესაყვედურება უფ. ნიკოლაძე რომ მისს პირად ცხოვრებას შევეხე, რომ მე ეს არ უნდა მექნა, თუ ამას მეუბნება ის, მაშინ ის საქვეყნოდ ნუკი გამოდის, ოთახში დაემწყვდიოს და ნაცარი ჰქექოს.

×

ამას წინეთ მე ორი სიტყვით ვსთქვი, რომ უფ. ნიკოლაძე დიქტატორია მეთქი და იქვე ვსთქვი თუ რაში ჰსჩანდა მისი დიქტატორობა. უფ. ნიკოლაძე მოყვა ამაზე და ისე გააგრძელა თავისი ბაასი, თითქოს ეს ყოფილიყოს უმთავრესი ჩემი საბუთი მისს წინააღმდეგ. ამის შემდეგ უფ. ს. მესხს ეგონა, რომ მე გავაგძელე ამაზე ლაპარაკი.

არც ეხლა მინდა დავათიო ამაზე ვაი-ვაგლახი. მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი. უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში უქმს ლიბერალობასაც დაეთხოვა. თუმც უქმი ლიბერალობა, რაც უნდა ძნელი იყოს, არაფრად არ ღირს, მაგრამ ხომ იცით, რომ უარესის უარესი ყოველთვის მოინახება, როგორც უკეთესის უკეთესი. უქმი ლიბერალობა ცუდია, მაგრამ „ანტი-ლებარალობა“ კიდევ უარესია. უფ. ნიკოლაძე კი პირველიდგან ამ უკანასკნელზე გადმოვიდა.

ჯერ ამას ვკითხავ ჩემს მობაასეს, რად ინება მან „დიქტატორობის“ ეგრე პირდაპირ, ასო-ასოდ გაგება? ყველაფერი აჩვენებდა, თვით სიტყვაც თავის ნიშნებით და სხვა შემდეგ სიტყვების ჰაზრიც, რომ მე სახეში არ მქონია იმისთანა დიქტატორობა, როგორიც ბარიბალდის ან ფრანკლინის დიქტატორობა იყო. მე კარგად ვიცოდი, რომ ამ ჰაზრით მისი ხმარება აქ არ შეიძლებოდა, რომ ამისთვის საჭირო პირობები არ იყო. აბა სად უფ. ნიკოლაძე და „დროება“ ერთის მხრით, და სად ბარიბალდი და იტალიელები მეორეს მხრით? სად „დროება“ და სად ხალხი? სად ხალხის წარმომადგენლები და სად წერეთლები და მესხები?

ამ სიტყვით მე გამოვსთქვი მხოლოდ უფ. ნიკოლაძის ერთსა და ამავე დროს სასაცილო და საძაგელი ბატონობა. ამ ბატონობას ის იმით კი არ აჩენს, რომ თავის ნამდვილ პრინციპების გაყვანას ჰსცდილობდეს, თავის კეთილშობილურ ჰაზრების განხორციელებას მეცადინეობდეს კეთილ ზომების შემწეობით. არა, მისი ბატონობა იმას ჰსთხოვილობს, რომ მას ყველა ყურ-მოჭრილ ყმასავით დაემორჩილონ, აცალონ მას, რაც უნდა ჰქნას, რასაც კი მოითხოვს მისი თავ-მოყვარეობა, მისი წუთიერი ქეიფი, მისი დაუდევარი გუნება. ეს მოთხოვნილება ხანდისხან სისულელე იქნება, მაგრამ რას იზამთ, როცა უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ ან ამისთანა ბატონობა უნდა მქონდესო, ან და არ ვიშრომებო.

მე რომ ამ გვარ არჩევანს მაძლევდეს, ვეტყვი: წადით, გამეცალე-თქო, არც თქვენი შრომა მინდა და არც თქვენი ბატონობა-თქო. როცა კი გამეცლება, მაშინ გადავუძახებ: თქვენ რომ იკვეხნით ვითომ „შრომობენ“ და ოფლს ღვრით საზოგადოებისათვის, რომ აღარ შრომობენ! —

ეგრე არ ჰსჯიან უფ. ნიკოლაძის მოძმეები. იგინი ხშირად ეუბნებიან მას: „არა, თქვენი ჭირიმე! მაგას ვინ გკადრებსთ თქვენ; ოღონდ ხმა მაღლა იყვირეთ და რაც გინდათ ქენით.“

უფ. ნიკოლაძე არა გვჯერდება ამისთანა არა-მეცნიერულ ნიადაგზე ბაასსა. ის, როგორც დიდი მეცნიერი და დიდი პოლიტიკოსი გადაიჭრება სხვაგან, წაატანს ხელს აქ ბარიბალდსა ვარო, იქ ფრანკლინსა ვარო, შეადარებს მათ თავის თავს და ამითი უნდა გაიმართლოს თავი. მას აქ იმის იმედი აქვს, რომ მკითხველის მოტყუება ადვილიაო, რომ მკითხველს ბევრი რამ არ გაეგებაო და რასაც ეტყვი, იმას დაგიჯერებსო. უფ. ნიკოლაძე ეგრე ჰფიქრობს: „მკითხველს გაეგონება ამა-და-ამ დიდ კაცების განთქმული სახელები; მოდი მე შევადარებ ჩემს თავს ამ კაცებს, და მკითხველი იფიქრებს: „ამ კაცებს ტყუილად ხომ არ აქებენო; მათ დიდი სიკეთე უნდა ექნათ ქვეყნისთვის; თუკი უფ. ნიკოლაძე ისე იქცევა, მაშ ისიც უნდა კეთილად იქცეოდესო.“

მე ამ გზაზე არ გავყვებოდი უფ. ნიკოლაძეს, რომ ის დიქტატორობის განვითარებას არ შედგომოდა და მისს გამართლებას არ ცდილიყო. შესცდა თუ მოიცრუა ამან, როცა ის „სანიადაგო“ დიქტატორობაზე ამბობს? სანიადაგო დიქტატორობა ხომ დესპოტობა გამოვიდა? ვინც ამისთანა დიქტატორობას დაიცავს, იმან ყაენობა და ხონთქრობაც უნდა დაიცვას. უკაცრავად ამ სიტყვების ხმარებისთვის, მაგრამ ამით მინდა ვთქვა, რომ ვინც ამაებს დაიცავს, იმან ის წესიც უნდა დაიცვას, რომელიც ხელს უწყებს ყაენობას და ხონთქრობას. აი ეს წესი. საზოგადო უბედურებას ყველანი სასოწარკვეთილებით ემორჩილებიან: წინააღმდეგობა ცოდვა არის, ამბობენ; საქვეყნო მტერს ყველანი თვალ-დახუჭული ემონებიან: რა გამოვა რომ არ დავემონოთო, ჰკითხულობენ? „ბარემოებას“ ყველანი „განუსჯელად“ მიყვებიან: არ-გაყოლა უ არგებლო იქნებაო.

ვაი, რომ უფ. ნიკოლაძე ეგრე გაბედულად და გადაწყვეტილად არ ამართლებს დიქტატორობას, მაგრამ შეხედეთ მისს კუდის-ქნევას: „თვითონ დიქტატორობა არც ცუდია, არც კარგია თავის თავათო, ამბობს ის. მისი სიავე ან სიკარგე გარემოებაზე ჰკიდია, კაცზე, საქმეზე და არა მარტო დიქტატორობაზე?“ ეს არის კუდის-ქნევა, მელის არის, თუ მაიმუნის, სულიერია. ამის მთქმელი იმასაც იტყვის, რომ „კაცის-მოკვლა არც კარგია, არც ცუდიო; მისი სიავე ან სიკარგე გარემოებაზე და კაცზე ჰკიდიაო. დიქტატორობა კაცს (და მთელს საზოგადოებასაც) ჰკლავს, ის ართმევს იმისთანა კუთვნილებას, ურომლოთაც კაცი აღარ ჰსცხოვრებს, აღარ კაცობს. დიქტატორობა, ვამბობ მე, თავის თავად ბოროტება არის, ღვთის თუ არა, კაცის და ხალხის გმობაა. ყოველი დიქტატორი, თუ სიკეთეს შვრება, ბოროტის საშუალებით შვრება; სიკეთე თუ უქნია „მარილის“ მაგიერ საწამლავი მოუყრია“...

„მე დიქტატორობა მდომოდა შენს სტატიას როგორ გაუშვებდიო, მკითხავს მე უფ. ნიკოლაძე. ჯერ ეს, რომ მე ვეტყობ, რომ მას ჩემთვის „არა-გაშვების“ უარესი არ ექნას;

---

*) ზოგიერთი მიზეზების გამო, ამ სტატიის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა; მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ახლაც მხოლოდ იმიტომ ვბეჭდავთ, რომ ჩვენს სიტყვასა და დაპირებას არ უმტყუენოთ... რედ.

რომ ჩემთვის ის არ ეთქმევინოს, რასაც მე ჩემს დღეში არ ვიტყოდი (!), მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ეჭვია, რომელიც უფ. ნიკოლაძისგან გარემოების ახსნამ დაბადა. იმ სტატიის თაობაზე კი, რომელზედაც ეხლა მეუბნება, ამას ვეტყვი. მე არ მითქვამს, რომ კაცი დიქტატორი იბადება და დიქტატორი ჰკვდება-თქო. ძლიერ შესაძლოა, რომ უფ. ნიკოლაძე აღარ დიქტატორობდა მაშინ, როცა ჩემი სტატია იბეჭდებოდა.

ეხლა მეუბნება, რომ ის არ ეთანხმებოდა ჩემს სტატიას. რატომ მაშინვე არ გამოსთქვა თავისი შეხედულობა, როცა დაინახა, რომ შემცდარი ჰაზრი გამოითქვა ბეჭდვაში? თუ მაშინ არ ღირდა, რომ საზოგადოების ყურადღება მიექცია მაზედ, ეხლა კი ღირს, რადგანაც ეხლა შეეხეს თვით უფ. ნიკოლაძეს?

„მართალი ჰაზრი თავისას ბოლოს მაინც გაიტანსო." კიდევ კუდს აქნევს უფ. ნიკოლაძე. მართალი ჰაზრი მაშინ გაიტანს თავისას, როცა საზოგადოების წევრები გამოსთქვამენ მას; როცა ისინი ეცდებიან გაიყვანონ ეს ჰაზრი და წინააღმდეგი დაარღვიონ; როცა ისინი მზად იქნებიან წინ აღუდგნენ ცრუ ჰაზრს ყოველთვის, და არა მარტო მაშინ, როცა მათს თავ-მოყვარეობას შეეხენ. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამოიღო ხმა უფ. ნიკოლაძემ, და ამით იცანით მისი პუბლიცისტიკური ღირსება.

×

პირად ბრძოლაზე ლაპარაკს იწყებს უფ. ნიკოლაძე. „დონკიხოტის მეტი წისქვილებს ბრძოლაში ვინ შეებმებაო?" იკითხავს და შესწყვეტს ამ ჰაზრზე ლაპარაკს; ჰგონია, რომ ამითი ციხე და ქალაქი აიღო. დონკიხოტმა წისქვილები ჯარად მიიღო; სათვალეები ჰსჭიროდა და არ ჰქონდა თუ რაღაც, ეგრე დაემართა და იმიტომ ებრძოლა წისქვილებს. მისს ადგილას უფ. ნიკოლაძე დიდის სიხარულით დაიმკლავებდა ხელებს, რამოდენიმე წისქვილის წინააღმდეგ არა, და ერთის წინააღმდეგ კი, განსაკუთრებით, მოლანდებულ კაცში სიბრმავე, სიკოჭლე ან სხვა ამისთანა სიმახინჯე რომ შეენიშნა.

ისე ბრძოლა ვის შეუძლიანო, თუ ხორც-შესხმული კაცი არ ეყოლა მოპირდაპირეთო? კარგად ვიცოდი, რომ ამ ჰაზრის იყო უფ. ნიკოლაძე; ვიცოდი, რომ ეს პუბლიცისტი იმას არ ეძახდა ბრძოლას, როცა კაცი სიკეთეს უწყობს ხელს, როცა დიდის გაჭირების და დიდის დაბრკოლების წინააღმდეგ კეთილ საქმეს ასრულებს; როცა კაცი ჰსდევნის მის შეძლების დაგვარად იმ ხორც-შეუსხმელ მიზეზებს, რომელნიც ჰბადავენ მავნე კერძო პირთა, ხორც-შესხმულ მოწინააღმდეგეთა. მე კი ვეძახი ამას ბრძოლას. ეს არის უდიდებულესი ბრძოლა, კაცის ზეცამდი ამმაღლებელი, უპატიოსნესი და უწმინდესი ბრძოლა.

უგუნურობა იქნება, რომ კაცმა შედეგებსაც არ მიაქციოს ყურადღება, როგორიც უგუნურობა ექიმის მხრით იქნება, რომ მან მტკივანს ადგილს ცალკე არ უწამლოს და მხოლოდ მიზეზის მოსპობა ეცადოს. მაგრამ საზოგადოებისთვის ბევრად უფრო საჭიროა მიზეზების მოცილება, რადგანაც უამისოდ ადრე თუ გვიან ეს მიზეზები კიდევ დაბადებენ იმავე ბოროტებას და საზოგადოება კიდევ უსათუოდ იგრძნობს იმ ბოროტების ძალას. იმას არა აკმაყოფილებს ავათმყოფობის ისე მორჩენა, რომ ხვალ ისევ ავათმყოფობა სხვა ადგილზე გაჩნდეს. საქმეს იმით ბევრი არ მოემატება, რომ ძირს ტანზე ერთი დამპალი სოკო დღეს მოსწყვიტოთ, ხვალ მეორე ადგილზე ამოვიდეს; გუშინ თუ ამ სოკოს გიორგი ერქვა, ხვალ ნიკოლოოზ ერქმევა.

საქმე რომ მართლა გაკეთდეს, ამისთვის უფერულის, უხორციელო ჰაერის და უ'ახიერო სისხლის გაწმენდაა საჭირო, რომ ამან თავისუფლად იტრიალოს ნაწილების შორის... ცოტა დაბრკოლება შეხვდება კაცს ამისთანა გზაზე? ამ დაბრკოლებებთან შებმა ბრძოლა არის, აბა რა? მათზე გამარჯვება მხოლოდ მათთან ბრძოლის შედეგი იქნება, აბა რისა? რომ სასწაული მოხდეს, და უფ. ნიკოლაძე დამეთანხმებოდეს ამაზე, მაშინ აი როგორ პა'უხს მოველი მაგისთანა კაცისაგან. ეს სათქმელად არის ადვილიო, თორემ საქმით ვინ აიტანს მაგისთანა ტვირთსო. მხოლოდ გამოუცდელი და ძუძუს-მწოვარი შეუკვეთს ვისმე მაგისთანა ძნელ საქმესო. ერთს კაცს არა, მთელს მოდგმას არ შეუძლია მაგი ითავოსო.

კარგი, მაგრამ ვინც ამბობს, რომ საზოგადოება წინ მიდისო, იმან უნდა იცოდეს, რომ ამ საზოგადოებაში არსებობს, და არც შეიძლება არ არსებობდეს, ის მონაცვალეობა, რომელიც საზოგადოებისთვის უკვდავების წყაროს შეადგენს, ის მონაცვალეობა, რომლის შემწეობით ერთი წევრი დღეს საზოგადო. შენობისთვის პირველ ქვასა ჰსდებს, ხვალ მეორე წევრი მხოლოდ შემდეგ ქვას ადებს ზევით, ისე რომ, თუ თითოეულმა პირმა და თითოეულმა თაობამ თავისი ვალი შეასრულა, საზოგადო. შენობა უსათუოდ დაგვირგვინებული იქნება. მაგრამ იმისი თავიდგან მოცილება, რაც ამ გვირგვინს, ამ დასასრულს უშლის, იმისი მოცილება—მეთქი ბრძოლა არის. რადგანაც ამისი მშლელი და დამაბრკოლებელი ყოველთვის ხორც-შესხმული კაცი არ არის, მაშ არც მარტო მასთან ბრძოლას ჰქვია ბრძოლა. იმ საზოგადო. მომქმედზე, ვინც ამით საზღვრავს თავის ღვაწლსა, ვიტყვი, რომ იმას დიდი ნაკლულევანება აქვს, იმას საზოგადო საქმე არ ესმის და თავის მოვალეობას ის ვერ ჰგრძნობს.

ისეც ვსთქვათ, რომ მრავალი ბრძოლა პირად მოწინააღმდეგესთან იმისთანა ხასიათის (ან იმისთანა უხასიათო) კაცის ხელში, როგორიც უფ. ნიკოლაძეა, პიროვნულ ბრძოლად იქცევა. აბა, თუ ბიჭი ხარო, მეუბნება უფ. ნიკოლაძე, მიჩვენე მაგალითები, როცა მე თვითონ არ დამეწყოს ბრძოლაო. ამითი ვითამ ამტკიცებს, რომ მისი შეტაკება არ ყოფილა. ამგვარი დამტკიცება თავისთვის შეინახოს უფ. ნიკოლაძემ, მე კი ამას შევნიშნავ: ის რომ უარს ჰყოფს ყოველ პიროვნობაზე თავის ბრძოლაში, აკი უფ. ს. მესხი ამბობს, რომ უფ. ა. წერეთელთან აყალმაყალი სრულებით პიროვნული იყოვო. ვინ იყო დანაშაული ამ პიროვნობაში? ამას მე უჩვენებ, თუ ჰსურს უფ. ნიკოლაძეს. ჯერ კი ამაზე მომცეს პასუხი: ის ბრძანებს, რომ ჩვენი მდგომარეობა, გარემოება და საჭიროება სხვებს უნდა გავაგებინოთო. ჩვენ კი არ გვჭირია განა ვიცოდეთ ჩვენი მდგომარეობა? ის ვერ გვეტყვის არაო. მაშ გვიჩვენოს მისი ქართული ნაწერები, სადაც ის ამ მდგომარეობაზე, გარემოებაზე და საჭიროებაზე ლაპარაკობს, და მე ვუჩვენებ მას იმ ნაწერებს, სადაც უფ. ნიკოლაძე მხოლოდ პირად მოწინააღმდეგეზე ლაპარაკობს, სადაც მხოლოდ პიროვნული ბრძოლა მიყავს. შევადაროთ ერთი და მეორე წყების ნაწერების რიცხვი, და ამით ვნახავთ უფ. ნიკოლაძის პუბლიცისტიკურ ღირსებას და მისს სათუძვლიანობას.

ეხლა ხომ გაჩერებულია უფ. ნიკოლაძე. უყურეთ აბა იმევ პუბლიცისტს რა ყვირილი დაიწყოს, როცა „ივერია" გამოვა. ის ამბობს, რომ საგანი უფრო ნათლდება და უფრო ღრმავდებაო, როცა ბაასი [illegible]. თუკი მობაასე არ გამოჩნდა, თუკი ის არ გამოვიდა, მაშინ არავითარ საგანზე არ მოილაპარაკება? მაშინ საზოგადოებას ვითომ არავითარ კითხვის ახსნა არ ჰჭირია? მოვიცადოთ ერთი თვე ნახევარი და უფ. ნიკოლაძე ერთ ჯერ კიდევ დაგვიმტკიცებს, რომ რომელსამე საგანზე სჯა მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა თავის მოწინააღმდეგის ჰაზრები გადასასხვაფერებლად აქვს და სიტყვები კაკვის მოსადებად.

მაჭახელაძე

(დასასრული შემდეგ №-ში)

განცხადებანი

იბეჭდება და ამ ცოტახანში გამოვა

ლექსები

უფ. იაგორ კასუმოვისა სხვა და სხვა ცხოვრების საგნის შესახები.

(3—3)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ი ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

—

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—94

წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	36	4	54				
მცხეთა	—	—	—	—	-	68	-	38
გორი	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური	2	—	11	10	3	92	2	18
ბექათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა	—	—			5	81	3	23
ქუთაისი	8	23			6	75	3	75
სამტრედია	—	—			7	73	4	29
აჴ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	11	44			9	75	5	42
ფოთი	8	40						
აჴ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	—	—			2	6	1	14
ქუთაისი	11	51			3	4	1	69
ყვირილა	—	—			3	98	2	21
ბექათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური	5	41	1	6	5	84	3	24
გორი	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

პეტერბურგი, 25 იანვარს.

ერთი მანეთი ღირს:	მან.	კაპ.
ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი.	—	84
პარიჟში $303\frac{1}{2}$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7\frac{1}{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	93	25
მოგებიანი (პირველისესხი)	179	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	173	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	79	75
მოსკოვის (5%)	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	250	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	470	—
კავკასის და მერკურის.	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	720	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	240	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა

თფილისი, 5 იანვარს

	მან.	კაპ.
პური შორაგალის ფუთ.	1	50
ქერი ფუთი.	—	95
ბამბა ერევნისა, ფუთი	5	20
— ამერიკისა, ფუთი.	5	60
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	—
— თარაქამისა ფთ.	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	20
ქონი, ფუთი.	4	50
ქონის სანთელი ფუთი.	5	40
სტეარინის სანთელი, ფ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
— ცხვრისა, ლიტრა	—	63
სპირტი, ვედრო.	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი	9	—
— ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა გრგვალი, ფუთი	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	20
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი.	7	15

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Января 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.